1. №16.

სამშაბათი 6 აპრილი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 სამშაბათი 6 აპრილი 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ.	— კ.
11	,,	9 ,,	50 ,,
10	,,	8 ,,	75 ,,
9	,,	8 ,,	— ,,
8	,,	7 ,,	25 ,,
7	,,	6 ,,	50 ,,
6	,,	6 ,,	— ,,
5	,,	5 ,,	50 ,,
4	,,	4 ,,	75 ,,
3	,,	3 ,,	50 ,,
2	,,	2 ,,	75 ,,
1	,,	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 82 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 82

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან.

პირველ აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზ. „**ივერია**“ ჰღირს 8 **მან.** ბიბლიოთეკა სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის—4 **მან.**

ხუთშაბათს, 1-ლ აპრილს, გარდაიცვალა თავადი

იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილი,

რასაც ქვრივი და შვილები განსვენებულისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზედ, განსვენებულის სადგომში (კიროჩნაია, № 2). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—6.—2)

16.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

დარჩება კიდევ რამდენსამე დღეს.

სამშაბათს, 6 აპრილს,

დანიშნულია ორი კავკასიური

ჭიდაობა

იჭიდავებს ცნობილი დაუძლეველი მოჭიდავე **ლილოელი** ცნობილ მოჭიდავე **ცერაძესთან.** წამქცევს ჯილდოდ—25 მანეთი. მეორე კავკასიური ჭიდაობა: ცნობილი მოჭიდავე **ჭიბგირი** იჭიდავებს **გიორგი ციმენდელთან.** ჯილდო ვერცხლის საათია. ჭიდაობა შესდგება მეორე განყოფილების ბოლოში. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებშია. დასაწყისი საღამოს 8½ საათზედ. (1—97—1).

ჩვენ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ჩვენს ხელის-მომწერთ შეუძლიანთ დაიბარონ რედაქციისაგან

„საქართველოს კალენდარი“

ალ. გუნიასი, გამოცემული წ.-კ. საზოგადოების მიერ, დაკლებულ ფასად: ტფილისს გარეშე გაგზავნით 1 მან. 30 კაპ. მაგიერ 70 კაპ., ხოლო თვით რედაქციაში — მანათის ნაცვლად—50 კაპიკად.

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

„ნადეჟდა“-ს

ტფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

11 აპრილიდან გადატანილ იქნება

მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.

შესასვლელი ეგზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.

საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108. (5—6.—4)

კახეთის მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“

აცხადებს, რომ ამ თვის 15-დგან ღვინო ისყიდება

ბოთლი—20, 25 და 30 კაპ. და მეტად

უმთავრესი საწყობი და მაღაზია: ერევნის მოედანი, თამამშევის ქარვასლა; განყოფილება: მიხეილის პრ., სლივიცკის, სახლში, № 81. ღვინო ისყიდება აგრეთვე ყველა საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

ქ. ქუთაისში გაიხსნა საზოგადოების განყოფილება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის «**კოლხიდის**» საწყობში ხსენებულ ამხანაგობის ხელმძღვანელობით.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება «**კახეთის**» ფირმის იარლიკებს, რადგანაც თვალის ასახვევად ძლიერ არის გავრცელებული სხვა-და-სხვა მიმსგავსებული იარლიკები. (10—6.—8).

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

იხსნება თავიდამ

და სრულიად ახლად მოეწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე **სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემაძე.**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ.-ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძლიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

მ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი ქ. ბძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ა. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ვორონცოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

ბძლიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვის. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

ამ წლის 2 მაისს „ტფილისის საკრებულოს“

საზაფხულო ბაღში

მიხეილის პროსპექტზე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

სეირნობა

საქველ-მოქმედო გაზრითურთ

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა დ ცოცხალი სურათები. დასასრულ

ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). (20—5)

ომის ამბები

იაპონელების ჯარის წინმსვლელობა.—ელიზე რეკლიუს აზრი.—რუსების იმედი და ზოგიერთების გეგმა.—გენერალ ტიურრის აზრი.—წვრილი ამბები.

იაპონელების ომის გეგმა დღემდე გამოურკვეველია,—ამბობს «პრავ. ვესტნიკი».—ზოგი უცხოელი გაზეთი ამბობს, ვითომც იაპონელები მზად არიან ერთბაშად ბრძოლის ველს დაუახლოვდნენ, საჩქაროდ გადავლენ მდინარე იალუს და მოწინაალმდეგესდაეტაკებიანო. საფრანგეთის „ნ.-პ-ი“-კი იმ აზრისაა, რომ იაპონელებს ასე სწრაფად მოქმედება არ შეუძლიანთ, თუმცა მათი მეგობრები წინაალმდეგს ამტკიცებენ. იაპონელები მოხერხებულად ჰმალავენ თავიანთ განზრახვას და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტებს ტყუილ ცნობებს აძლევენ, რომ მათთვის სასურველი და გამოსადეგი ცნობები გაავრცელონო. აქამომდე მართალი მხოლოდ ის ვიცით, რომ იაპონელები კორეაში რუსეთის მოწინავე რაზმებს დაუახლოვდნენ. ხოლო, რაც შეეხება მანჯურიას, იქ ჯერ-ჯერობით არც ერთი იაპონელი ჯარის-კაცი არ არისო.

—

ელიზე რეკლიუ შემდეგის აზრისაა რუსეთ იაპონიის ომის შესახებ:

ამ ოცდა-თხუთმეტის დღის განმავლობაშიაც რუსეთ-იაპონიის ომს ფრიად საყურადღებო შედეგი ჰქონდა,—ბევრი რამ ცვლილება მოჰხდა გეოგრაფიული, პოლიტიკური და სოციალური. რუსეთის დიდის ხნის მეცადინეობამ, რომ ზღვისკენ გზა გაიკვლიოს და გაიხნას, ამაოდ ჩაიარა. ეჭვი არ არის, ციმბირს რომ ზღვისაკენ გზა ღია ჰქონდეს და მასთან ეს ქვეყანა მშვიდობიან წარმატების გზას ადგეს, მართლა რომ მისი ვაჭრობა თან-და-თან გაძლიერდებოდა და მისი კომერციული დროშა მთელს ოკეანეზე იფრიალებდა. ეს შესაძლოა იმ შემთხვევაშიაც-კი, ციმბირს რომ თავისი ზამთრობით უყინავი ნავთ-სადგური არა ჰქონდეს და ალებ-მიცემობას უცხო სახელმწიფოების პორტებში იქონიებდეს.

მაგრამ მედიდურობამ და სხვის მიწა-წყლის დაპყრობის სურვილმა სხვა რიგად დაატრიალა საქმე, და ვხედავთ, რომ საშინელი ფლოტი,—რომელიც თავის ჯავშნიანის გემებით არაფერში ჩამორჩებოდა იაპონიის ფლოტს და რომელსაც თამამად შეეძლო შეჰბრძოლებოდა სხვა დიდ სახელმწიფოების ფლოტებს,—დღეს აღარ არსებობს (?). რუსეთს, რომლის თვალ-გადუწვდენელ სამფლობელოს მთელ დედამიწის ზურგის მეექვსე ნაწილი უჭირავს, დღესაც ზღვის გზა შეკრული აქვს: უდაბნოები, ყინული და სხვის სამფლობელო აკრავს გარშემო. ამბობენ, ამისთანა შევიწროვებული მდგომარეობა დროებითიაო, მაგრამ დროებითი მდგომარეობა შესაძლოა დიდ-ხანს გაგრძელდეს და, რაც დაგვიკარგავს, ველარ ვიპოვოთ. (კას.).

მარშალმა ნოძუმ ცოტაოდნად რომ გაიმარჯვოს კიდეც, ამით საქმის ვითარება სრულიადაც არ შეიცვლებაო,—ამბობს „რუს. ვედ.“,—ამ ზაფხულს გენერალი კუროპატკინი იმდენ ჯარს შეაგროვებს, რომ იაპონელებს ისევ კორეაში გადაჰყრის. მართალია, თუ რომ იაპონელებმა მკვიდრი ადგილები დაიჭირეს სამხრეთ-მანჯურიასა და კვანტუნში, იმათი დაძვრა ძნელი იქნება, მაგრამ გენერალ კუროპატკინს სხვანაირად შეუძლიან იაპონელების დამარცხება. ის დიდძალ ჯარს გაჰგზავნის ვლადივოსტოკიდგან გენზანსა და სეულზე, ასე რომ მარშალ ნოძუს ჯარს, რომელიც მანჯურიაში იქნება, გზას აუქცევს და გარს მოუვლისო. მანჯურიიდგან კი დიდის ჯარის გამხედრება მოუხერხებელია უგზოობის გამო. ტყუილად კი არ გაჰყო მარშალმა ნოძუმ თავისი ჯარი სამს ლაშქრად, თუმცა შეერთებულ ძალით მოქმედება ბევრად კარგი იქმნებოდა. თუ რომ მარშალ ნოძუს ჯარმა, რომელშიაც 105—180 ათას კაცზე მეტი არ უნდა იყოს, კარგი ადგილი დაიჭირა მთებზე, მდინარე იალუსა და ანჯუს შორის, მაშინ ჩვენ იმის გასაძევებლად დაგვჭირდება 200—250 ათასი კაცი. ამოდენა ჯარის გალაშქრება მანჯურიიდგან, და ისიც შემოდგომაზე, მოუხერხებელი იქმნება. ამასთანავე, ჩვენს ჯარს იაპონელებისაგან გაოხრებულ გზებზე მოუნდება სიარული, სადაც ვერავითარ სანოვაგეს და სურსათს ვერ იშოვნის.

ამას ის ემჯობინება, რომ ვლადივოსტოკის მხარეს შეგროვდეს ჯარი. ეს უფრო ადვილიც არის, რადგანაც ციმბირის მდინარეებზე გემები დადიან და ზოგი ჯარი წყლით გაიგზავნება, რომელიც მდინარე ამურზე მოიყრის თავს. ვლადივოსტოკიდგან გენზანსა და სეულამდე რიგიანი გზებია, იქ ხალხიც ბლომადა სცხოვრობს, დიდს ჯარს წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევს და სურსათიც საკმაოდ იშოვება. იმ დროს ჩვენი ბალტიის ზღვის ფლოტიც მოუსწრებს და იაპონიის ფლოტი კორეის აღმოსავლეთის ნაწილს ველარ მიეკარება. თუ რომ ჩვენმა ჯარმა სეული დაიპყრო, მაშინ ომი გათავებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მარშალ ნოძუს ჯარი ველარას გახდება და ამაოდ ხალხის ჟლეტას იაპონია აღარ ინდომებს. ზავი რომ მალე ჩამოვარდეს, ჩვენმა ფლოტმა იაპონიის სანაპირო ქალაქებს უნდა აიკლოს ყუმბარებით.

თუმცა ეს დასკვნა ოპტიმისტურიაო,—გამოტეხით ამბობს «რუს. ვედ.» თანამშრომელი ს. კ.;—მაგრამ სტრატეგიულ მოსაზრებაზედ არის დამყარებული, რომელსაც ვერ შეარყევს იაპონელების მცირეოდენი გამარჯვება პირველ ხანებშიო. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ მარტო ამ გეგმაზე არ არის დაფუძნებული რუსების გამარჯვება. ომში მრავალნაირი გარემოება და შემთხვევა ატრიალებს ჩარხს და, რაც ეხლა უვაროდ მიგვაჩნია, შესაძლოა, ერთისა და ორის თვის შემდეგ უვარგისად ჩაითვალოსო.

—

გაზეთ «კავკაზს» დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ხარბინს მო-

უყვანიათ ორი იაპონიის მთავარ-შტაბის აფიცერი, დაპატიმრებული რკინის გზის ლიანდაგის ახლო. იაპონელებს თიბეთის ლამების ტანისამოსი აცვიათ. როდესაც რუსები შეუნიშნავთ, გაქცევა დაუპირებიათ. იმათ კარავში საფეთქებელი წამლები და სამჭედლო იარაღები იპოვეს. ჰფიქრობენ, იაპონელებს ხიდის აფეთქება უნდოდათო მდინარე ნონზეო. დაპატიმრებულნი გამოტყდნენ, რომ რკინის გზის აშლა გვინდოდაო.

ადმირალ ურიუს დეპეშა ამტკიცებს, ვითომც ჯავშნიანი გემი «პეტროპავლოვსკი» იაპონელების ყუმბარამ დაჰლუპა. ბერლინიდგან კი იუწყებიან, რომ ეს მართალი არ არის და უსაბუთოაო.

გაზეთ „პატრიაში“ დაბეჭდილია გენერალ ტიურრის აზრი რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ:

იაპონელებისათვის საჭიროა, რომ მეომარნი მალე შეებრძოლონ ერთმანეთს. 1898 წელს იაპონელებმა თითქმის უბრძოლოდ აიღეს პორტ-არტური, რომელსაც ეხლა ამდენი ძალა შეალიეს. შემდეგ იაპონელები იძულებულნი იყვნენ, პორტ-არტური ისევ ჩინეთისათვის დაეთმოთ, რადგან ევროპის სახელმწიფოებმა ასე ისურვეს. ეხლა-კი კვალად სცდილობენ პორტ-არტური დაიპყრან. რითი გათავდება ეს ბრძოლა, ძნელი სათქმელია. ჯერ ეხლაც ამ ომს დიდი ზარალი მოაქვს ევროპისათვის ეკონომიურად და ფინანსიურად. ვინ იცის, იქნება ევროპამ თავი გამოიდოს და ხელი გამოიღოს. 1901 წელს ევროპის სახელმწიფოებმა რამდენიმე რაზმი დასტოვეს ჩინეთში; თუ რომ ჩინელებმა ამ რაზმებს ავნეს რამე, ევროპა უთუოდ ჩაერევა ომში. ჩვენ ზარბაზნის გრიალით გამოვაღვიძეთ იაპონელები და ეხლა ისინი ჩვენებურად იღვწიან. (ნ. ვ.).

იაპონიის ფლოტი შვიდ ესკადრად არის გაყოფილი,—ამბობს «დ.ტელ.»; —ოთხი მათგანი პორტ-არტურის შორი ახლო მოქმედებს, მეხუთე—კორეის ნაპირებზე, მეექვსე და მეშვიდე—ვლადივოსტოკსა და ჩრდილოეთ-იაპონიის შუა. საჭიროებისამებრ, ზოგი გემი ერთ ესკადრიდგან სხვა ესკადრებს უერთდება. იაპონიის ფლოტს ჯერ შესამჩნევად არც ერთი გემი არ დაჰზიანებია, გარდა «ივატისა» და «იოშინოსი», რომლებიც უკვე შეაკეთეს და თავის ესკადრებს შეუერთეს. (კას.).

ხარბინიდგან «ნოვ. ვრ.»-ს ატყობინებენ: რუსეთის ჯარი, როგორც პეტერბურგში ჰფიქრობენ, ექვს თვეზე ადრე არ გაილაშქრებსო. იმ დროსთვის-კი რუსეთიდგან დიდს ოკეანეზე ძლიერი ესკადრა გაიგზავნება, რომელშიაც იქნება ჯავშნიანი გემები: «ბოროდინო», «კნიაზ სუვოროვ», «სლავა», «ოლეგ», «ოსლიაბია»; კრეისერები: «დიმიტრი დონსკოი», «ავრორა» და მრავალი ნაღმოსნები და ნაღმის მმუსვრელნი. ჰფიქრობენ, რუსეთს შორეულ-აღმოსავლეთში ნახევარმილიონი ჯარი მაინც დასჭირდებაო. რკინის გზაზე მანჯურიაში ჯარის გადაყვან-გადმოყვანას დიდად ხელს უშლის შუშა-ნახშირის სიცოტავე და ზოგ სადგურებზე წყალის უქონლობა.

ჰამბურგიდგან «დ. ნ.»-ს ატყობინებენ დეპეშით: რამდენიმე იაპონელი აფიცერი, ბარონ ტაკიკავას მინდობილობით, ჩრდილო-გერმანიის ნავთსადგურებში მოგზაურობენ და სცდილობენ სამხედრო გემები იყიდონ იაპონიისათვის. იმათ დაუთვალიერებიათ გემების ქარხანა შტეტინში, მაგრამ არც ერთი გემი არ მოუწონებიათ. გერმანიის ფირმები უარს აცხადებს, იაპონიას ვერ მივყიდით გემებსაო. (კას.).

ხარბინის ჯარის უფროსმა შემდეგი ბრძანება გამოსცა:

თუმცა აკრძალულია, რომ ჯარის კაცებს არაყი არავინ მიჰყიდოს, მაგრამ მთელ რკინის გზის ლიანდაგზე ჯარის კაცებში ლოთობა კვალად გავრცელებულა. ამას მოსდევს უწესოება, ქირვეულობა, დისციპლინის დარღვევა და სამართალში მიცემა. აქ, ხარბინში, ყოველ ჟამს შეჰხვდებით ქუჩებში მთვრალ სალდათებს. ვავალებ ხარბინის პოლიცმეისტერს, სასტიკად ადევნოს თვალ-ყური, რომ ჩუმად არაყს არავინა ჰყიდდეს. არც ერთი შემთხვევა არ უნდა დასტოვონ უყურადღებოდ და, მთვრალს რომ შეჰხვდებიან, უნდა გამოიძიონ, არაყს სადა ჰყიდულობენ. («რუსკ. ვედ.»).

იაპონელების სატრანსპორტო ოთხი გემი, რომელიც პორტ-არტურთან ჩაღუპეს ნავთსადგურის დასახშველად, «დ. ტ»-ის სიტყვით, 2,250 ათასი ფრანკი ღირდა. ამ ბრძოლაში იაპონელებს 50 კაცი დაეღუპა და 50 დაჭრილი სასებოს მიიყვანეს. იქვე მიუცურებიათ ორი დაზიანებული გემი—ნაღმოსანი და ნაღმის მმუსვრელი. პირველს წინა ნაწილი ჰქონდა დაშავებული, მეორეზე-კი ნაღმიანი ყუმბარა გამსკდარა და ორთქლის მანქანა დაზიანებულა. (კას.).

ტფილისი

⁂ იმერეთის ეპისკოპოზის, ყოვლად უსამღვდელოესის ლეონიდისაგან წერა-კითხვის საზოგადოებას მოუვიდა 25 წლის არსებობის შესრულების გამო მოლოცვის წერილი და 100 მან. შეწირულება. მღვდელ-მთავარი სწერს საზოგადოებას, ვეცდები ყოველ წლივ ამ დროს ას-ასი მანათი მოგაწოდოთ ხოლმე იმ ნაყოფიერის საქმისათვის, რომელსაც საზოგადოება ემსახურებაო.

⁂ პროფესორი პეტრიაშვილი ამ ჟამად ქუთაისშია და ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა.

⁂ როგორც გვატყობინებენ, ქ. იურიევში, მიმდინარე სემესტრში საბეითალო ინსტიტუტი ორს ქართველს დაუმთავრებია—ა. კვიტაშვილს და ი. შუაქრიშვილს.

⁂ უმაღლესის ბრძანებით, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს უფლება ეძლევა კერძო კაცს მიჰყიდოს სახაზინო მიწა, ტყე იქნება თუ სახნავი, მხოლოდ მიწა 150 დესეტინაზე მეტი არ უნდა იყოს, ან არა და წელიწადში 500 მანეთზე მეტს შემოსავალს არ იძლეოდეს. აგრეთვე მიწად-მოქმედების მინისტრს შეუძლია ხაზინისათვის შეისყიდოს კერძო კაცების მამულები, რომელიც ახლოს მდებარეობს სახაზინო მიწებზედ. ადგილი 50 ათას მანეთზე მეტი არ უნდა ჰღირდეს.

⁂ კავკასიის საბეითალო ნაწილის გამგის განკარგულობით, წელს ზაფხულს რამდენიმე სტუდენტი საბეითალო ინსტიტუტის უმაღლესს კურსებისა გაგზავნილ იქმნება ბაქოსაკენ საქონლის ავადმყოფობათა წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად.

⁂ დღეიდან საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო გამგეობას უფლება ეძლევა, ეგზამენი დააჭერინოს მსურველთ ფერშლობაზედ და ატესტატებიც დაურიგოს. ატესტატის მიცემის თაობაზედ წინად სამკურნალო გამგეობა სამედიცინო დეპარტამენტს შეეკითხებოდა ხოლმე.

⁂ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში ტაინ. სოვეტნიკს ი. ს. მედვედევს უმაღლესად ებოძა წმ. ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენი.

⁂ როგორც ამას წინად ვაუწყებდით მკითხველთ, ბ-ნ ზუბალაშვილის მიერ ღარიბთათვის დასარიგებლად შეწირულ 2.000 მანეთიდან ქალაქის გამგეობამ საუმჯობესოდ სცნო ეს ფული საპოლიციო უბნის იმ სამზრუნველოს განკარგულებაში გადასცეს, რომელსაც აზრად ექმნება ღარიბ მცხოვრებთ შემწეობა აღმოუჩინოს. ქალაქის გამგეობამ თავის აზრი აცნობა ბ-ნ ზუბალაშვილს და სთხოვა, გვაცნობეთ, თანახმა ხართ თუ არა ამ ფულს ასეთი დანიშნულება მივცეთო. ბ-ნმა ზუბალაშვილმა თანხმობა გამოაცხადა.

⁂ მოკლე ხანში კრება ექმნება ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას ბ-ნ ლისიციანის მოხსენების განსახილველად. მოხსენება შეეხება ტფილისში, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობაზედ, 4-კლასიან სასწავლებლის დაარსებას.

⁂ 4 აპრილს, ბ-ნ ავთანდილოვის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდა ტფილისის ცეცხლისაგან საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებას. კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, საზოგადოების ბუხჰალტერს წელიწადში 300 მანეთი მოუმატოს. ამ რიგად ბუხჰალტერს წელიწადში 1.500 მანეთი ექმნება ჯამაგირად. ამავ კრებაზედ გამგეობის თავმჯდომარედ პ. ი. ალიბეკოვი იქმნა არჩეული.

⁂ მოკლე ხანში კრება ექმნება «უმაღლეს კურსებზე მოსწავლე ქალთა დამხმარებელ საზოგადოებას». კრება აირჩევს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთ.

⁂ ტფილისში ხორცი ერთობ გაძვირეს ყასბებმა. გირვანქას უვარგისის ხორცისას ზოგჯერ 12 კაპეიკად და მეტად ჰყიდიან. ზოგმა მცხოვრებთაგანმა ქალაქის გამგეობას მიჰმართა, რაიმე ღონისძიებანი მიიღეთ ყასბების თავ-გასულობის ასალაგმავადაო.

⁂ ტფილისის ვაჭართა საზოგადოებამ გადასწყვიტა, ტფილისის საკომერციო სასწავლებელი რვა-კლასიან სასწავლებლად გადააკეთოს. ამ ჟამად მხოლოდ 7 კლასია.

⁂ ამ დღეებში ბელგიის უსახელო საზოგადოება გამოიკვლევს იმ გზას სოლოლაკში, სადაც ცხენის რკინის გზამ უნდა გაიაროს. ცხენის რკინის გზა მამა-დავითის მთის ძირამდე მივა, სადაც ფუნიკულერის სადგური იქნება.

⁂ პარასკევს კრება ექნება ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ იმ კომისიას, რომელმაც საპოლიციო უბნებთან ღარიბთა სამზრუნველოები უნდა მოაწყოს.

⁂ დღეს ტფილისის სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრებაა დანიშნული. კრებას რამდენიმე საყურადღებო ოხსენებანი აქვს განსახილველი.

⁂ ტფილისში აცივდა კვირაცხოვლობა დღეს-კი საკმაოდ ჩამოსთოვა.

⁂ ამ დღეებში ტფილისის ოლქის სასამართლოში ბრალმდებელმა ვრცელი საბრალმდებლო ოქმი წარადგინა. როგორც აქედან სჩანს, 17 კაცს საზოგადოება შეუდგენიათ იმ აზრით, რომ რკინის გზის ყალბი ბილეთები გაეკეთებინათ და გაესაღებინათ. მოწმედ 100 კაცია დაბარებული.

⁂ ტფილისში 16-დან 29 მარტამდე ყელჭირვებით გამხდარა ავად—22 მიანი, ხუნავით - 9. ყველაზე მეტი ავადმყოფი პირველსა და მეათე უბანში ყოფილა.

⁂ ამ თვის პირველისთვის ქალაქის ლომბარდის კასაში ფულად ყოფილა 6,842 მანეთი 79 კაპ. ლომბარდში ბევრი ყოფილა დაგირავებული ნივთი.

⁂ ერთობ გაისქელა ჯიბე ცირკის დირექტორმა. ყოველდღე ჰმართავს ჭიდაობას და ხალხიც, განურჩევლად წოდებისა, ხარისხისა, სქესისა და სარწმუნოებისა, ბლომად მიდის ცირკში... ტფილისში რომ კარგად გაალალიერა ხალხის ჯიბე, ეხლა დირექტორს ცირკი ბაქოში გადააქვს. ალბად ამ გასტროლსაც კარგი შედეგი მოჰყვება.

ჩვენებური ამბები

რიონ გაღმის კუთხე.

ამინდები.—გადამდები ავადმყოფობანი და სიკვდილის სიხშირე.—აბრეშუმის თესლის სიძვირე.—ამერიკულ ბამბის თესლის გავრცელება.

თებერვალში გაზაფხულის დღეები იდგა, სამაგიეროდ, მარტმა კი ჩაგვაშხამა: ჯერ ორი დღე მზიანი არ გამორეულა; თითქმის ყოველ დღე სწვიმს. სიცივეც საგრძნობელი დადგა და ხელახლავ დაგვჭირდა კერა-ბუხრების გაჩაღება. ხეხილი ადრიან გამოვიდა; ვენახსაც კვირტები წამოეზარდა, მაგრამ ძლიერ ვშიშობთ, რომ მარტის სუსხმა არ ავნოს.

სოფლებში აქა-იქა მოდებულია ყელის ტკივილი და ყვავილი; ყელის ტკივილმა იკლო ეხლა, ყვავილი კი ისევ მძვინვარებს და რამდენიმე ბავშვი კიდევაც იმსხვერპლა. თან სითბოდგან უცებ სიცივეზედ გადასვლამ გააჩინა სურდო-ხველამჭვალი, ამას დაერთო ფილტვების ანთება და ბევრი გამოასალმა წუთისოფელს.

თუმცა აქეთ დღეს სამიოდე აფთიაქია, ფერშლებიც მოიძებნებიან, მაგრამ ავადმყოფობა სანამ თავისას არ იზამს, ფერშალს არავინ მოიწოდებს, მერე ხომ მომაკვდავის შველა ძნელია.

წელს აბრეშუმის თესლი აქეთ ნაკლებად არის და ძვირადაც იყიდება. მედუქნეები ნაღდ ფულზედ ჰყიდიან ოთხ-მანეთ ნახევრად, ნისიად-კი ხუთ-ექვს მანეთად. თესლი აქეთ სხვა-და-სხვა ფირმისაა; ხალხი უფრო კითხულობს, როგორც ეძახის, «წერეთლის თესლს», მაგრამ ვერ შოულობენ. ქუთაისის სამეურნეო საზოგადოებამ „კოლხიდამ“ გამოჰგზავნა წელს აქეთ თესლი ქრისტოდოლიდისა და პასხალიდის ფირმისა, კოლოფი სამ მანეთად. ქრისტოდოლიდის თესლს უფრო მოჰკიდა ხელი ხალხმა, ვიდრე პასხალიდისას. ამათ ძლიერ ეუცხოებათ ჯერ-ჯერობით «კოლხიდის» საზოგადოების მიერ გამოწერილი თესლი, რადგან მიუჩვეველნი არიან. მესამედს კიდევ აკლია თესლი და, თუმცა იპოვება დღეს, მაგრამ, როგორც ეტყობა, ხალხი ვითომ გაიაფებას უცდის, თუ მოტყუებული არ დარჩა და შარშანდელივით უფრო არ გაუძვირდათ.

წელს ჩვენში ამერიკულ ბამბის კურკაც მოვიპოვეთ «კოლხიდის» საზოგადოებისაგან და ზოგიერთებს მიაქვს სასინჯად თითო-ოროლა ფუთი; თუ იხეირა, მაშინ კი უფრო გავრცელდება ამ ბამბის თესვა-მოყვანა.

ვლადო ზბვანელი.

ბაღდადის საბოქაულო. მიმდინარე წელიწადი ძლიერ ნაყოფიერი გამოდგა ბაღდადის წიგნთ-საცავ-სამკითხველოსათვის, რომელმაც კარგა ხნის ძილის შემდეგ გამოიღვიძა. ბაღდადის ინტელიგენცია წელს გულით შეუდგა სამკითხველოს გამოუმჯობესებას, სადგომიც შესაფერს ადგილს დაუქირავა და გაზეთებიც გამოუწერა.

ხალხი სამკითხველოში ბლომად დაიარება, ნამეტურ ბევრია ქუთაისიდგან დელეჟანის მოსვლის დროს, საღამოს; დელეჟანს დაკისრებული აქვს გაზეთის ზიდვა. ამ დროს სამკითხველოში მიდიან ისეთებიც კი, რომლებმაც კითხვა არ იციან; ესენი დგანან შორიახლოს და დიდის სიამოვნებით ისმენენ ომის ამბებს, წაკითხულს რომელისამე ინტელიგენტის მიერ; «ზოგი ჭირი მარგებელია», და იქნება ამ ომმა ბაღდადელებს გაზეთების კითხვა შეაყვაროს, რასაც უსათუოდ მოჰყვება საზოგადოდ წიგნის კითხვის სიყვარულიც.

მთელს ბაღდადის საბოქაულოში ნამყენის ვაზის „კრიზისია“; ნამყენ ვენახების კეთება შემოიღეს, აქეთ ბევრმა ნამყენ ვაზის კეთება სადებ-მიცემო ხელობადაც გადაიქცია; შარშან ძლიერ ბევრი ნამყენები დამზადდა, რადგანაც გასავალი კარგი ჰქონდა და კარგ სარგებელსაც იძლეოდა, მაგრამ დახეთ უბედურებას: თუ შარშან და წინა წლებში თითო ნამყენ ვაზს ორ შაურად და შვიდ კაპეიკად ჰყიდნენ, წელს 3—4 კაპეიკადაც აღარ მიაქვთ. ყველაზე მეტი ვაზია დამზადებული ს. ობჩას, დიმს, როდინაულის და ნამეტნავად სვირში; აქ ყველაზე უფრო ნაზარალები რჩება სვირის სამეურნეო საზოგადოება «სვირული ღვინო», რომელსაც კიდევ აქვს გაუყიდავი 25,000 ძირი ნამყენი. ნამყენ ვაზის გაუყიდაობის მიზეზად, სხვათა შორის, ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ წელს იკლო ამნაირის ვენახების კეთებამ, რადგანაც გავრცელდა ხმა: „ნამყენ ვენახს ბაყი ედებაო;

სოფ. დიმსა და ბაღდადს შუა მდ. ხანის წყალზე მდებარეობს ძველი ხიდი, რომლის შეკეთებას არაფერი ეშველა, თუმცა ძლიერ საჭიროა კია. ბაღდადის ბოქაულმა გულით მოინდომა ამ ხიდის შეკეთება, შესაფერი დარიგება და ბრძანება მისცა ადგილობრივს მამასახლისებს, მაგრამ რადგანაც ამ უკანასკნელთ ვერ აღმოუჩინეს ჯეროვანი დახმარება, საქმეს დაბოლოვება არ ეღირსა. თუ გაკეთება ძნელი მოსახერხებელია, დახურვა მაინც არ უნდა იყოს ძნელი, და ეს კი ძლიერ საჭიროა, რადგანაც ხიდი იმ მდგომარეობაშია, რომ შესაძლებელია, მგზავრმა დამე, ამ ხიდის წყალობით, კისერი მოიტეხოს.

ამ ხუთის წლის წინად ს. ობჩა შეუდგა ორკლასიანის სასწავლებლისათვის შენობის აგებას, მაგრამ ჯერ არაფერი გაკეთებულა: ჯერ იყო და შენობისათვის შუა ადგილი ვერ ამოირჩიეს და ამის გამო ჩერდებოდა საქმე, მერე რამოდენიმე სოფელი ჩამოსცილდა, რის შემდეგაც ადგილის ამორჩევაზე დავა თავის თავად მოისპო, ვითომც შეუდგნენ კიდევაც შენობის აგებას: ბალავერი გააწყვეს, რამოდენიმე ურემი ქვაც მოიტანეს, მაგრამ ამ დროს აღმოჩნდა აღშენებელ კომიტეტში ერთი წევრი და ხალხის გულშემატკივრობის სახელით საქმე ჩაშალა და არივ-დარია. ახლა შენობა შეჩერებულია და ღმერთმა უწყის, როდის ეღირსება ამ საქმეს დათავება. ობჩელების ამნაირი საქციელი ჩვენთვის გასაკვირველი არაა, რადგანაც საქმის დაწყება და დაუბოლოვება აქ იშვიათი მოვლენა არ არის.

მაგრამ ასე უხეიროდ არ მოქცეულა ს. დიმი, რომელმაც, დაინახა თუ არა, რომ ერთად-ერთი ორ-კლასიანი სასწავლებელი ხშირად მათ ბავშვებს უარს ეუბნებოდა ადგილის უქონლობის გამო, შეუდგა ცალკე ორკლასიან სასწავლებლის დაარსებას: შარშანწინ ამის თაობაზე განაჩენი დაადგინეს და დასამტკიცებლად გაგზავნისათანავე შენობის აგებას შეუდგნენ, ეხლა ეს შენობა უკვე გათავებულია. სულ დაჯდა 5,000 მანეთი, თვითოეულ გლეხს კი დაუჯდა 15—30 მანეთამდეს; ხარჯი ყველასათვის საგრძნობელია, მაგრამ ამას იმდენად არა სწუხან, რამდენადაც იმას, რომ შენობა ორის კლასისთვის აგეს, მასწავლებლისათვის ჯამაგირიკი ერთის კლასისათვის მოვიდა ხაზინიდგან, ხოლო მეორე კლასისთვის მოგვცემენ კიდევ რასმე თუ არა, არ ვიცით; ეს-კი ყველასათვის ცხადია, რომ ხალხი ამის გამო უკმაყოფილოა და გაიძახის: «შეგვაწერინეს 600 მანეთს, შენობა ააგეთ და ეხლა კი მხოლოდ 320 მანეთი მოგვცეს წლიურადაო». მაგრამ იმედს მაინც არა ჰკარგავენ და ეხლა შენობის კურთხევისათვის ემზადებიან.

თორნიკე.

სოფ. ფარცხანაყანევი (იმერეთი). როგორც გაზ. „ივერიამ“ (№ 50) გვაუწყა, მთავრობას განუზრახავს სოფლებში მცოდნე გაგზავნოს პირნი, რომელნიც სოფლელებს ხელმძღვანელობას გაუწევენ ხეხილების გაშენებასა და მოვლაში, რადგან უვარგისს ხეხილს ზოგჯერ რგავენ და ისე ვერ უვლიან, როგორც საჭიროა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავრობის ასეთი განზრახვა თუ განხორციელდა, დიდად სასარგებლო იქმნება იმათთვის, ვინც ეტანება ვენახის და ხეხილების გაშენებას, მერე ამ ჟამად, როცა ამერიკულ ვაზების გაშენება იწყეს.

სოფ. ფარცხანაყანევში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დიდი ხანია მიჰყვეს ხელი, გარდა ხვნა-თესვისა, მებაღეობას; მეაბრეშუმეობასაც აქ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, რამდენისამე წლის წინად აქ ვენახებიც ბლომად იყო და კარგის ღირსების ღვინოსაც იძლეოდა, მაგრამ დღეს ფილოქსერისაგან სრულიად მოსპობილია; სამაგიეროდ-კი აქა-იქ დამყნილის ამერიკულ ვაზის გაშენება დაიწყეს. თუმცა ფარცხანაყანევში კარგი ნიადაგი ხელს უწყობს მეურნეობას, მაგრამ აქაც ზოგჯერ მოხდარა, უშრომია კაცს რამდენიმე წელიწადი ვენახის და ხეხილების გაშენებისათვის და შრომას მუქთად ჩაუვლია იმიტომ, რომ არ იციან კულტურული გაშენება და მოვლა. არსად იმერეთში იმდენი ხეხილი არ არის, როგორც ამ სოფელშია და თავის ღირსებითაც განთქმულია, განსაკუთრებით აქაური ბალი, რომელიც ადრე მწიფდება (15 აპრილიდგან), იგზავნება ყველა კავკასიის და ზოგიერთ რუსეთის ქალაქებშიაც. აქ ისეთი მცხოვრებნიც არიან, რომელნიც 500—700 მან. თავის მამულის ხილს ჰყიდიან წელიწადში. მართალია მდიდარი ბუნება ხელს უწყობს და უხვად იძლევა მოსავალს, მაგრამ თითონაც მცხოვრებნი მშრომელნი და მეცადინენი არიან. მუშა დღეებს უქმად ყოფნაში არასოდეს არ ატარებს. ხილეულობის გაყიდვა-გასაღებას, რასაკვირველია, ხელს უწყობს სიახლოვე ქ. ქუთაისისა (10 ვერსზეა) და კოპიტნარის და მუხიანის რკინის გზის სადგურებისა, სადაც სხვა-და-სხვა ქალაქებიდან ჩამოდიან ხილის ვაჭრები და წინდაწინვე იგებენ ხილს. მაგრამ ეს ორი წელიწადია, აქ ვაჭრების მიმოსვლა შემცირდა, ვინაიდან აქაური მებაღეები თვით ძალიან დახელოვნდნენ ხილის ვაჭრობაში. თვითონ გააქვთ ქალაქებში ხილი გასასყიდად და ამ რიგად თავიდან აიცილეს ჩარჩ-ვაჭრების ოინები. ამგვარმა შრომის მოყვარეობამ და მეურნეობის მიმდევრობამ აქაური მცხოვრებნი მატერიალურად დააწინაურა და სწავლა-განათლებისაკენაც ნაბიჯი წაადგმევინა. რვა-ცხრა წლის წინად აქ არავითარი კულტურული დაწესებულება, როგორიც არის სასწავლებელი, ბანკი, აფთიაქი და სხ., არ არსებობდა, გარდა ერთის უბრალო სამრევლო სკოლისა, და დღეს კი ეს სოფელი ამ მხრივ სხვა წარჩინებულ სოფლებს გაუტოლდა.

ფარცხანაყანევში ორი ქვის ეკკლესიაა, ერთის აშენება წარსულ დეკემბრის თვეში დამთავრდა და აკურთხა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა. ამ ეკკლესიის აშენება სოფელს დაუჯდა 19,000 მანეთამდის, მეორე-კი 10 წლის წინად არის აშენებული. აქვეა ორი სამინისტრო სასწავლებელი (ერთი ორ-კლასიანი), სამრევლო სკოლა, გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა, ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის განყოფილება, ბაზარი, სადაც იმართება ყოველ სამშაბათობით «იარმუკა», შემოსავალი ბაზრობიდან სასწავლებლების სასარგებლოდ არის გადადებული. აფთიაქი არის და ფერშალიც გვყავს; თუმცა ჯერ ფერშალს ჯამაგირი არა აქვს, მაგრამ საზოგადოება, იმედია, მალე დაუნიშნავს ჯამაგირს, უფრო იმიტომ, რომ ჩვენი ფერშალი, ბ-ნი ე. ჩხენკელი, კარგი მცოდნეა თავის ხელობისა და გამოცდილიც.

აქეთ თბილი ამინდები დგას, ხეხილმა კვირტი გამოიღო. სოფლელნი მინდვრად გავიდნენ და მიწის დამუშავებას შეუდგნენ. ბუნება მშვენივრად ირთობა, სწორედ მშვენიერი სანახავია აქაურობა, თუ ყინვები არ დაიწყო და ხეხილს კვირტი არ გაუფუჭა.

ქსენ. თევდორაძე.

დ. ხონი. შარშან, როგორც მახსოვს, ნაადგომევს, ხონელი ათი მედუქნემ, რომელთაც უწინ თავთავიანთი დუქნები ჰქო-

გდათ და რამდენიც მუშტრის ძებნაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, შეერთდნენ, შეამხანაგდნენ, რათა შეერთებულის ძალით ემოქმედნათ და ამგვარად, რაკი სხვა მეტოქე არავინ ეყოლებოდათ, სამგზავრო ფასი აეწიეს. მაგრამ, ეს განზრახვა მათ სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგანაც ამავე დროსვე ბ-ნმა ოცხელმაც გაჰქირა თავისი ევროპიული გამოვნებაზედ მოწყობილი დილიჟანსი და მით, არა თუ ფასის მომატება, თვით არსებობის იმედიც-კი დაუკარგა ხონელ მედილიჟნეებს.

ყველას სჯეროდა ამ დილიჟნისაგან ხონელ დილიჟნების დამარცხება და ხმაც დადიოდა: ოცხელი კიდევ რამდენსამე ამისთანა დილიჟანს გამართავს და ხონელ მედილიჟნეებს ბარგს აუკრეფინებსო, მაგრამ... ჰოი, საკვირველებავ! თვით ეს საუკეთესოდ მოწყობილი და მასთან სამედო კაცი ხელში მყოფი დილიჟანსი შექმნა დამარცხებული ხონელ მედილიჟნეებისაგან და ეხლა ხან კი სამუდამოდ სული განუტევა. რამ გამოიწვია ეს? იმან, რომ ოცხელმა თავისს საქმეში ხეირი ვერ ნახა, მასს ვეებერთელა დილიჟან-ომნიბუსს რომ რიგიანად მომსვლა ჰქონოდა, საჭირო იყო, ხონიდგან ქუთაისამდე ორ ადგილას ცხენები გამოეცვალა, ხოლო ამას-კი დიდი ხარჯი მოსდევდა, რაც დილიჟანის შემოსავალს არ შეეძლო დაეფარა. არ შეეძლო იმიტომ, რომ სანახევროდ ცარიელი დადიოდა მაშინ, როდესაც ხონელების დამტვრეული დილიჟნები მუდამ ხალხით იყო სავსე.

რად ჰხდებოდა ასე, მე არ ვიცი. ეს ხონელ მეეტლების საიდუმლოებაა. ხოლო ის-კი ვიცი, რომ ფარული, ოცხელის დილიჟნის სამეტოქეო, მოქმედება იყო, რამაც გაჰჭრა და ამ გარემოებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ოცხელმა დილიჟანს თავი დანება. ამნაირად, გამარჯვებ ხონელმა მედილიჟნეებმა და ამას აუცილებლად სამგზავრო ფასის აწევაც მოჰყვებოდა, მაგრამ განგებამ ეხლაც დაგვიფარა.

ხონელმა ვაჭრებმა წინდაწინვე გაითვალისწინეს, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მედილიჟნეების შეერთებას და გადასწყვიტეს, ამხანაგობა დაეარსებინათ, რამდენიმე დილიჟანი გაეწყოთ და ამით ხონელ მედილიჟნეთა განზრახვისთვის (გადაჭრით ნიხრზედ 50 კ. მომატება) ხელი შეეშალათ. მართლა, დღეს მათ 5-მდე საკუთარი დილიჟანი ჰყავთ და ხონელ მედილიჟნეებს დიდ მეტოქეობას უწევენ. ვუსურვოთ ხონელ ვაჭართა ამხანაგობას, რომ ოცხელის ბედი თავიდგან ჰშორებოდეთ და მათი საქმე მომავალში უფრო გაძლიერებულიყოს.

მიხა.

ქართველ ხე-ტყის მრეწველთა გაჭირვება ბათუმში.

ჩვენს ქართულ გაზეთებში არა ერთხელ მქონდა ნაამბობი ქართველ ვაჭრების გაჭირვებული მდგომარეობა შესახებ ხე-ტყის მრეწველობისა და, თუმცა ბევრჯერ მივაქციე ტფილისის სამეურნეო ბანკის ყურადღება ამ საქმეს, მაგრამ ბანკის გამგეობამ ყურიც არ გაიბერტყა, თითქო ტფილისის გარდა სადმე სხვაგან რაიმე საყურადღებო სამრეწველო საქმე არ არსებობდეს.

ქართველი მოვაჭრეები, ხე-ტყის მრეწველნი, ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი, რადგან ამათ არ შესწევთ ნივთიერი ძალა, რათა თავიანთი ხე-ტყე: კაკლის კუნძი, ბზა, მუხის საბოჭკე მასალა და სხვა პირდაპირ გაიტანონ საზღვარ-გარედ ბაზარში გასასყიდად. მიტომ ძალა უნებურად უნდა ჩაუვარდნენ ხელში ბათუმელ უცხოელებს, რომელნიც ხეს ყიდულობენ მუქთად ქართველებისაგან და პირდაპირ ჰგზავნიან საღვარ-გარედ გასასყიდად.

დღეს აქ კაკლის ხე ფუთი იყიდება 60—80 კაპ. პირველის ხარისხისა, ამას რომ დავუმატოთ ხარჯი ბაქიანად საზღვარ გარეთის ბაზრამდის—60 კაპ.—პირველ ხარისხის კაკლის ხე ჯდება არა უმეტეს 1 მ. 40 კაპეიკისა; როგორც ვიცით, საზღვარ-გარედ ეს ხე იყიდება ფუთი 2 მ. 40 კ.—3 მ. 40 კ., მაშასადამე, თითოულ ფუთში 1 მანეთიდან 2 მანეთამდე იგებენ.

აქ არის სამი მყიდველი ფირმა. სამივეს პირი შეკრული აქვს; როცა ერთი მათგანი ყიდულობს ხეებს, მაშინ ორი გაჩერებულია; როცა პირველი, რაც საჭიროა იყიდის, მერე ეს გაჩერდება და მეორე დაიწყებს, ასე ამგვარად ფასებს არც ერთი არ უმატებს. წელიწადში ეს სამი ფირმა იყიდის 100,000 ფუთს ხეს, აქედან 100,000 მანეთზედ მეტი მოგება რჩება სამთავეს, ხოლო ქართველობა კი, 30 კაცამდე მწარმოებელი, თავის შრომის სასყიდელსაც ვერ ღებულობს. ეს 30 კაცი შრომობს მუქთად, სამი კაცი უცხოელი-კი ჯიბეს ისქელებს და ქონებაზედ ქონებას უმატებს. ჩვენ გვეგონა, ტფილისის სამეურნეო ბანკი რასმე ილონებსთქო, მაგრამ, როგორც ზევით ვთქვით, ყურსაც არ იბერტყს; ახლად დაარსებულმა ამხანაგობამ «გეორგია»-მ ეგებ მოჰკიდოს ამ საქმეს ხელითქო, ვფიქრობდით, მაგრამ მოვტყუვდით: გამგე ამხანაგობის «გეორგია»-სი თვალით ვერ დავინახეთ ბათუმში და, როგორც ვიცით, ამ ამხანაგობას ჯერ ნიმუშადაც არ გაუგზავნია საზღვარ-გარედ არც კაკლის ხე, არც კუნძი, ბზა და სხვა. დღეს საქართველოს ბევრი ჰყავს ნასწავლი ქართველი, რომელნიც ხშირად მოგზაურობენ საზღვარ-გარედ. ნუთუ ამათ სასირცხოთ მიაჩნიათ აღებ—მიცემობას ყური უგდონ სამზღვარ-გარედ და უშოვონ ბაზარი ჩვენებურ ხე-ტყეს?

თუ-კი ვინმე გამოჩდება ისეთი, რომ რომელსამე ამ ხე-ტყის გაყიდვაში საზღვარგარედ მექარხნესთან ან დიდ ფირმასთან საქმე გააკეთოს, არა გვგონია სარგებლობა არ ნახოს თვითონ პირადად და ამასთან ხე-ტყის ფასიც აქ, ადგილობრივ, მომატებული ექნებათ ჩვენ ქართულ ვაჭრებს და ნუ თუ ეს დამსახურება არ იქნება ყველა ნასწავლ კაცის მხრით თავის ქვეყნის ვაჭრობის წინაშე?

ზოგიერთნი ვაჭბატონები აქ, ბათომშივე, ასე ამბობენ: მოგვეცით ხე-ტყე ნისიად, გავგზავნით საზღვარ-გარედ ბაზარზედ და გაყიდვის შემდეგ ანგარიშს გაგისწორებთო, მაგრამ გაყიდვა ჩვენთვის, ქართველებისათვის, ხელ-საყრელი არ არის. იმისთვის, რომ ქართველობას არ აქს შეძლება, სულ ნისიად გაგზანოს საქონელი და სამი ოთხი თვე უცუროს. ხოლო ისეთი სანდო არავინ გაჩნდა, რომ ნახევარი ღირებულობისა აქვე მისცეს, ნახევარი-კი გაყიდვის შემდეგ.

ხე-ტყის წარმოება კარგად შეუძლია ქუთაისის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას, რომელსაც წელიწადში თითქმის ნახევარ მილიონ მანეთის ოპერაცია აქვს საზღვარ-გარედ. წელიწადში ორი-სამის თვით რჩება იქ თვითონ ამხანაგობის გამგე ბ. ნესტორ წერეთელი. თუმცა ბ. ნესტორ წერეთელი ძალიან მოწადინებულია ამ ხე-ტყის საქმეს ხელი მოჰკიდოს, მაგრამ მისი ამხანაგები, ჩვენდა საუბედუროდ, რომელთაც არ გაეგებათ ხე-ტყის ვაჭრობის წეს-რიგი, არ არიან მოწადინებულნი, რომ ეს საქმე იმათ ხელში იყოს; ძალიან გასაკვირია, ჩვენებურმა კაცმა არ იცოდეს ხე-ტყის გარემოება, მოსაგებია თუ საზარალო? ან და ამხანაგობა რასა ჰკარგავს? ვსთქვათ, მოვაჭრეს აქვს ათასი ფუთი ხე, ღირებული 800 მანეთად; ამხანაგობამ რომ ნახევარი მისცეს ამ თავით და ამის 12 პროცენტი აიღოს, ხოლო როცა გაიყიდება საქონელი, დანარჩენი მისცეს და თან კამასიაც აიღოს, მანეთში 3 პროცენტი, ასე რომ, თუ წელიწადში 100,000 მანეთისას გაჰყიდის ამხანაგობა, მაშინ ხე-ტყის გაყიდვით დარჩება მანეში 5 პროცენტი და ეს კი 5,000 მანეთს იზამს. ამით ამხანაგობაც გებულობს, არას ჰკარგავს, ქართველ ხე-ტყის მრეწველსაც შეღავათი ეძლევა და საქონელიც 50 პროცენტით მეტ ფასად ეყიდება. ნუ თუ ამისთანა ხელ-საყრელ საქმეში ამხანაგობის გამგეობამ მხარი არ უნდა დაუჭიროს ბ. ნ. წერეთელს, რომლის დაწყებული საქმეც სასარგებლოდ ცნობილია მთელს ჩვენს საქართველოში?

სპირიდონ ხვიჩია.

ქიზიყის მამულებზე ხაზინასთან დავა

ძლივს გვეშველა და გამოცხადდა 23 მარტს სამოსამართლო პალატის განაჩენი ქიზიყის მემამულეთა შესახებ. ეს განაჩენი, მართალია, შეეხება მხოლოდ სოფ. მაღაროში მცხოვრებ მემამულეთ: ნაცვლიშვილებს, ნასიძეებს, დოდაშვილებს, ჰრელაშვილებს, მესტიაშვილებს და სხვ., მაგრამ საყურადღებოა მით, რომ იგი, უეჭველია, სარჩულად დაედება მთლად ყველა ქიზიყის მამულების დავის საქმეს. დავობდნენ ერთი-ერთმანერთში ხაზინა და აზნაურნი. დიდის შიშით და გულის ფანცქალით მოელოდნენ ქიზიყის მემამულენი ამ განკითხვის დღეს, და საკვირველიც არ არის: ეს დღე არის სიკვდილ-სიცოცხლის დღე, ყოფნისა ერთის რიგის, და არ ყოფნისა—მეორე რიგის ხალხისათვის. მეურნეობა: ხვნა-თესვა, საქონლის მოვლა-მოშენება, მებოსტნეობა, მევენახეობა და სხვ. დარგნი მრეწველობისანი იმ თავითვე, ისევ ქრისტეს წინ, შეადგენდა უმთავრესს წყაროს ქიზიყის ხალხის კეთილ დღეობისას. მას მისდევს აზნაური და გლეხი, მდიდარი და ღარიბი. მიწა ყველასთვის განურჩევლად შემნახი, მრჩენელი და მკვებავია. ჩვენ არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ მდგომარეობა ბოგანოდ დარჩენილის ქიზიყელის კაცისა.. ამისთანა სიცოცხლეს ქიზიყელი სიკვდილს ამჯობინებს. იმისთანა ცხელს, მწირ ქვეყანაში, როგორიც არის ქიზიყი, ცხოვრება შეუძლებელია, თუ არ ექმნება მეურნეს საკმაო და ფართო საძოვარ-სახნავ-სავენახე ადგილები. ხშირად შეჰხვდებით მეოჯახეს, რომელსაც ჰყავს ათასზედ მეტი ცხვარი, ასობით ძროხა-კამეჩი, ცხენის ჯოგი, აქვს 40 მდე დღიური სახნავი და მაინც ცხოვრება უჭირდება. აი, ამის გამო არა ერთისაგან გვსმენია ჩვენ ქიზიყში: თუ რომ მამულზედ სასამართლომ უარი მითხრა, დავყიდი ცხვარ-ძროხას, გადავჭრი ბაღჩავენახებს და გადავიხვეწები ჩემის ქვეყნიდანაო. მართლაც, არც საკვირველია ეს, რადგანაც ქიზიყელი კაცი უმიწა-წყლოდ არაფერია, მკვდარია; თუნდ მოგიკლავთ იგი, თუნდ მიწა წაგირთმევიათ.

თუ ამ თვალთ-ისარით გავჩხრეკავთ ქიზიყელ მემამულეთა საქმეს, აღმოჩნდება, რომ ერთნაირი ბედი არ არგუნა 23 მარტმა სოფელ მაღაროს მემამულეთ. კარგად, ძალიან კარგად დაბოლოვდა აზნაურების ნაცვლიშვილების და დოდაშვილების საქმე, რომელთაც, ჰყვანდათ ვექილად ბ-ნი კ. ქალანთაროვი და კარგადაც დააყენა მან მათი სადავო საქმე. მათ მიუსაჯა სამოსამართლო პალატამ თითქმის ყველა მამულები, რასაც-კი დავობდნენ; მარტო საკომლო ყმების მამულზედ გამოეცხადათ უარი.

შედარებით, ყველაზე მეტი მამული დარჩათ აზნაურებს: ქარუმა, ივანე, თადეოზ და ანტონ ნაცვლიშვილებს.

წინაალმდეგ, ვერაფერი საალდგომო მისალოცი საქმე დაემართათ აზ. ნასიძეებს და მემამულეთ ჰრელაშვილებს. ისინი დარჩნენ თითქმის მთლად უმამულოდ. გარდა კარ-მიდამოისა]და ბაღჩა-ვენახებისა, ეარი ეთქვათ მათ მთლად მამულებზედ. სიმართლე რომ თქვას კაცმა, დამნაშავენი ამაში თვითონვე-კი არიან, რადგანაც ამ თავით ვერ დააყენეს საქმე რიგიანად. აზნაურთ ნასიძეებმა გამოუცხადეს ხაზინას დავა $^1/_5$ წილზედ და საკმაო საბუთებიკი არ წაუმძღვარეს საქმეს წინ. აზ. ალექსადრე და სოლომონ ნასიძეებს პალატამ, გარდა იმ მამულებისა, რომელიც დარჩათ ოლქის სასამართლოს განაჩენით, მიუსაჯა მამული № 77.

ამნაირად, დარჩა ბოგანოდ აუარებელი თავისუფალი სოფელ მაღაროს ხალხი, რომლის ცხოვრებაც, ღმერთმა უწყის, როგორ უნდა მოხერხდეს, თუ სენატშიაც საქმე ასე დაბოლოვდა.

ა. ნ.

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

გაზ. «კიევლიანინი» ასე მსჯელობს გლეხ-კაცობის განმარტოებისა და განაპირების თაობაზედ:

> განვითარების გზა ცხადია. ეგ გზა უნდა იყოს დამყარებული არა მთავრობის ძალაზედ და გლეხ-კაცობის განცალკევებასა და გამარტოვებაზედ. ახალ ვითარების ისტორიულმა მსვლელობამ სხვა გარემოებანი დაჰბადა, უფრო ზოგადნი, გამაერთებელნი, წოდებათა შემაერთებელნი. ახლა ის დრო აღარ არის, რომ შეიძლებოდეს იოლად წასვლა მხოლოდ ამა თუ იმ წოდების ძალ-ღონით. მაგრამ ამას არ ეთანხმებიან ისინი, ვისაც სწერენ გლეხ-კაცობის ცხოვრების ახლად მოწყობის პროექტებს. ისინი სცდილობენ, უფრო გაამაგრონ გლეხ-კაცობის განაპირების ზღუდენი. საუკუნოებით შექმნილი განსაკუთრებული წყობილება, რომელსაც ადგია გლეხ-კაცობის ცხოვრება, არ უნდა შეიცვალოს ძირეულადაო. ეგ განსაკუთრებული წყობილება თავდებია მისის ცხოვრების სიმტკიცისაო. ასე მსჯელობენ პროექტების შემდგენელნი. სიმტკიცე კარგია, მაგრამ მარტო სიმტკიცეზედ ვერ დამყარდება ყოველი იმედი და კეთილ-დღეობა გლეხ-კაცობისა. ძალიან მტკიცე რამ არის გუთანი, მაგრამ მეტი ღონე არ არის, უნდა თავი მიანებოს გლეხ-კაცმა. შეიძლება მკვიდრი იყოს სახლი, მაგრამ როცა შიგ ველარა თავსდებიან, მეტი ღონე არ არის, უნდა გადააკეთონ და გააფართოვონ; ან თუ მოშხამულია რითიმე, უნდა დააქციონ. მტკიცეა ხოლმე არა მარტო ის, რაც კარგია, არამედ ისიც, რაც უვარგისია და მავნებელი. სიმტკიცესთან და სიმაგრესთან ერთად სხვა თვისება უნდა ვისურვოთ: უნარი განვითარებისა, გაუმჯობესებისა. ყოველ შემთხვევაში, გამარტოვება, განცალკევება გლეხ-კაცობის წოდებისა ვერას გვიშველის. ელემენტები წოდებრივისა და ეკონომიურის განსხვავებისა და განცალკევებისა ისეც ბევრია ცხოვრებაში და იმათს კიდევ უფრო მეტს გაძლიერებას-კი არ უნდა ვსცდილობდეთ, არამედ ყოველის ღონის-ძიებით უნდა ვეძებნიდეთ ისეთს გზას, რომელზედაც ყველა წოდების კაცებს შეეძლოთ დაახლოვება საერთო ინტერესების შეგნებით, საერთო მუშაობის სურვილით საყოველთაო საკეთილდღეოდ. ამ გზით შეიძლება მხოლოდ შემცირდეს განკერძოება, განზედ გაწევა და განთვითობა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

«სამშობლომ» კვირას, 5 მარტს, საერთოდ სუსტად ჩაიარა. ნ. ჩხეიძის (ქეთევან), ვლ. მესხიშვილის (შაჰ-აბაზი), ივანიძის (სვ. ლიონიძის) და დავითაშვილის (ფაიხოში) გარდა, ყველანი სუსტები იყვნენ. როლების უცოდინარობა ცხადათ სჩანდა. ხალხი წარმოდგენას ცოტა დაესწრო.

—

(წერილი მოსკოვიდგან.)

21-ს წარსულს თებერვალს ადგილობრივ ეტნოგრაფიულ საზოგადოების საზოგადო კრებაზედ ბ-ნმა დ. ი. არაყიშვილმა წაიკითხა მოხსენება გურულ მუსიკის შესახებ. ამ ორის წლის წინად მე ერთ ჩემს წერილში «ივერიის» მკითხველებს, შეძლებისა და გვარად, გადავეცი შინაარსი ბ-ნის დ. ი. არაყიშვილის მიერ ზემორე ხსენებულ დაწესებულებაში წაკითხულ მოხსენებისა, რომელიც შეეხებოდა განსაკუთრებით ქართლ-კახელთა მუსიკას. მაშინ ჩვენი ლოტბარი დაჰპირდა მსმენელებს, ახლო მომავალში შეესწავლა ქართველების სხვა-და-სხვა შტოთა მუსიკაც. თავის თავად იგულისხმება, რომ უკანასკნელი შრომა ბ-ნ დ. ი. არაყიშვილისა გაგრძელებაა მის მიერ დაწყებულ შრომისა, რომელიც დასრულების შემდეგ ერთობ საყურადღებო შეიქნება რუსეთის საზოგადოებისათვის, რადგან, სხვა გარემოებათ რომ თავი დავანებოთ, რუბინშტეინის «დემონის» ყოველი წარმოდგენა ამ საზოგადოებას აგონებს იმ ერს, რომლის ცხოვრებიდგანაც დიდებულის ოპერის ლიბრეტტო და მუსიკაა აღებული.

ჩვენთვის განსაკუთრებით ბ. არაყიშვილის შრომა მეტად პატივ სადებია, რადგან, როგორც სხვა-და-სხვა დარგი ჩვენის წარსულის კულტურისა, ისე მუსიკაც, ჯერ მეცნიერულად შეუსწავლელია და ამ მხრივ გაწეულს მეცადინეობას, ვფიქრობ, სიხარულით უნდა მივეგებოთ და ხელი უნდა შევუწყოთ თვით მშრომელსაც.

«სანამ რასმე ვიტყოდეთ გურულების სახალხო მუსიკის შესახებაო,—ამბობს ბ. არაყიშვილი თავისს უკანასკნელს მოხსენებაში,—საჭიროა წინდაწინვე ვიცოდეთ, რომ ქართველი ერი თუმცა წარმოადგენს ხუთას სხვა-და-სხვა შტოს, მაგრამ ერთეულია, როგორც თავის ისტორიულის წარსულითა და სვე-ბედით, ისე ეროვნებითაცაო.

«ყოველი შტო ატარებს სახელწოდებას საქართველოს იმ ნაწილისას, რომლის მკვიდრად ითვლება. თვითეული ნაწილი საქართველოსი ერთი მეორისაგან განირჩევა ბუნებითა და გეოგრაფიულის მდებარეობით. ამ გარემოებამ, თუმცა ვერ შეარყია ქართველ ერის ძირითადი ტიპიური ნიშნები, მაგრამ რამდენადმე მაინც კვალი დაამჩნია ყოველს მის შტოს კერძოდ, ასე რომ, სახის გამომეტყველებაშიც ხშირად გამოიცნობთ, ეს ქართლელია, კახელია, თუ გურულიო».

ეკრანის საშუალებით, ბ. არაყიშვილმა გააცნო საზოგადოებას ტიპები ქართველების ყველა შტოთა.

გურული მუსიკა ინსტრუმენტალური და ვოკალურია. პირველი სრულდება სალამურსა, საყვირსა და სოინარზედ. მეორე—ერთის, ორის და სამ-ხმიან სიმღერებისაგან შესდგება.

ერთ-ხმიან სიმღერას განსაკუთრებით ქალი მღერის გურიაში ჩანგურზედ, რომლის ჰანგი, ნაზი და წყნარი, მამა-კაცის ხმას არ იგუებს.

,,დიდად სამწუხაროაო,—განაგრძობს ბ. არაყიშვილი,—რომ თანამედროვე გურულმა ქალმა მეტად მელოდიური ჰანგი ჩანგურისა და მაზედ შეწყობილის სმენის წარმტაცი სიმღერა ან დაივიწყა, ან და შესცვალა გიტარის მელოდიისა და სმენისათვის საზოთირო სიმღერებზედაო. რამდენიმე ჩემ მიერ ჩაწერილი მელოდიები ნათლად გვიმტკიცებს, თუ რა დიდად ნიჭიერია გურული ქალი მუსიკაში და გვაკვირვებს კიდეც, თუ რატომ ვერ იქონია გავლენა მამა-კაცებზედ, რომლის სიმღერაც ესტეტიურად ბევრად უფრო დაბალ საფეხურზედა სდგასო''.

ტეხნიკის მხრივ ერთ და ორ-ხმიანი გურული სიმღერები, ქართლ-კახელების სიმღერებს წააგავს, რადგან ორთავესი ფესვი ერთი და იგივეა.

გაცილებით მეტად საყურადღებო არის სამ-ხმიანი გურული სიმღერები. როდესაც ქართლ-კახელების მუსიკაში ჩაწნულია ხალხის ჭირ-ვარამი, მისი სულიერი მოძრაობა დროისა და ეპოქის დაგვარად, გურულებისაში ამას ვერ ვხედავთ. გურულ მუსიკის შინაარსი სასიყვარულო, სათავგადასავლო და ისტორიულის ხასიათისია.

საგნის ტეხნიკურ მხარეს ესაჭიროება საფუძვლიანად შესწავლა. დღეს-დღეობით შეიძლება ითქვას ამ მხრივ მხოლოდ ის, რომ გურულ სიმღერების ხმათა წყობას, როგორც ქართლ-კახელებისას, უნდა ჰქონდეს თავისი ნიშნობლივ თვისება, რაც შედეგია მათის დამოუკიდებლივ ერთი-მეორისაგან განვითარებისა; ამას ჰმოწმობს თვით სიმღერათა ორიგინალური სამ ხმოვანება, თავისებური კანონები, ჰარმონია და კონტრაპუნქტია.

გურულ სახალხო მუსიკაში შეჰხვდებით ისეთ სიმღერებს, რომელსაც ვერ დაუქვემდებარებთ რომელსამე ხმა-წყობას. ეს სიმღერები ცალკ-ცალკე განვითარებულა და ადრე თუ გვიან უბრალო ფორმიდგან შეცვლილა რთულ ფორმად.

თუმცა განსხვავება გურულ და ქართლკახურ სიმღერათა შორის არის, მაგრამ მათ შორის ნათესაობაც დიდია. განსხვავება, ბ. დ. არაყიშვილის აზრით, გამოწვეულია გეოგრაფიულის პირობებითა დ სხვა-და-სხვა ფაქტორებით და, ყოველს შემთხვევაში, არა გავლენით ბერძნებისა და იტალიელებისა, როგორც ზოგიერთები ჰფიქრობენ.

ნათესაობას მათ შორის გვიჩვენებს ერთისა და ორ-ხმიან სიმღერების ტეხნიკური თანხმობა, სამ ხმოვანთა მსგავსი აკორდები, გაბედული ჰარმონია და თვით ხმათა სახელ-წოდება. გურულ სიმღერის პირველი ხმა ან დამწყები—ქართლ-კახურშიაც პირველი ხმაა. გურულის მოძახილი ან ბანი, სალხინო სიმღერებში კრიმანჭული ან გამყივანი, ქართლელისათვის უბრალო მოძახილია. პირველის ბანი ან დაბალი ბანი—მეორესათვის იგივე ბანია. მეორე ხმას ორთავეს სიმღერაში აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ყოველივე ეს გვიმტკიცებსო,—ამბობს ბ-ნი არაყიშვილი,—რომ ორთავეშტო ერთისა და იმავე ფესვისაა და, როცა შევისწავლით ქართველების ყველა შტოთა მუსიკას, მაშინ გაგვიადვილდება გავითვალისწინოთ, თუ რომელ შტოს მუსიკა სდგას განვითარების უფრო მაღალ საფეხურზედაო.

თუმცა გურულ სიმღერების, განსაკუთრებით კრიმაჭულისა, ნოტებზედ გადაღება ერთობ საძნელო გამოდგარა, მაგრამ ჩვენს ლოტბარს მაინც მოუხერხებია რამდენისამე სიმღერის ჩაწერა.

ზოგიერთი სიმღერა საზოგადოებამ მოისმინა ფონოგრაფით, ზოგიც შეასრულა ქართველ სტუდენტების ხორომ და რამდენიმე ერთ-ხმიანი სიმღერა ჩინებულად იმღერა ქ-ნმა ნ. ა. საფაროვისამ.

საზოგადოდ, მოხსენება იმდენად რიგიანად იყო დაწერილი და მოწყობილი, რომ დიდ ძალმა თავ-მოყრილმა საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა როგორც ბ-ნი არაყიშვილი, ისე ყველა მომღერლები.

—

პროფესორის ალ. ს. ხახანაშვილის თაოსნობით, მოსკოვის ქართველობას აზრად ჰქონდა ქართულად წარმოედგინა «ღალატი», რომლის რეჟისორობასაც ჰკისრულობდა თვით ავტორი პიესისა. ამ ათის წლის წინად აქ ყოფილა წარმოდგენილი «ხანუმა» და, როგორც გვიმოწმებენ წარმოდგენის დამსწრენი, პიესა რიგიანად ყოფილა მოწყობილი და შესრულებულიც. უეჭველია, როცა ადგილობრივი ცხოვრება, ამღვრეული შორეულ-აღმოსავლეთში მომხდარის ამბებით, დაიწმინდება და ჩადგება თავის კალაპოტში, მაშინ ამ განზრახვის აღსრულებაში მოყვანა შესაძლებელი გახდება და, იმედია, მოთავენიც განახორციელებენ.

დ-რი-ბა—.

—

შაბათს, 3 მარტს, თავად-აზნაურთა თეატრში რუსულ ოპერის მსახიობმომღერალმა ი. პ. ტომაშევიჩმა (ბასი) კონცერტი გამართა. კონცერტში, თვით ტომაშევიჩის გარდა, მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი ლანკო და ბ-ნნი მესხიშვი-

ლი, სპანდარიანიდა სხვ.

ქ-ნ ლანკოს, როგორც განცხადებიდგან სჩანდა, დრეზდენის კონსერვატორია გაუთავებია. მე არ ვიცი, დრეზდენის კონსერვატორიაში რასა და როგორ ასწავლიან, მაგრამ ეს ვერც ქ-ნმა ლანკომ გვიჩვენა, რადგანაც არც უნარი, არც ცოდნა, არც მუსიკალური ალღო მას არ გამოუჩენია. ხმაც მეტის მეტი ნაკლები და სუსტი აქვს, უკრინშანქული, თუმცა, როგორც ეტყობა, კოლორატურულ სოპრანოდ სთვლის თავისს თავს.

მშვენივრად წაიკითხა ბ-ნმა მესხიშვილმა რამდენიმე სცენა რუსის ჯარის კაცთა და კავკასიის დაბალ სასწავლებელთა მოწაფეთა ცხოვრებიდგან. მისმა მოხდენილმა, მრავალ ფეროვანმა, მეტყველებამ ხმისამ, სახის მოძრაობისა და განსაკუთრებით-კი გამოთქმისამ, საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ტაშის კვრასა და გამოწვევას დასასრული არა ჰქონდა.

მშვენიერი ხმა აქვს ბ-ნ სპანდარიანს, ძლიერი, მჰახე, მაღალი, ამასთანავე ბუნებრივის მიბნედილებით დასევადებული, მხოლოდ არავითარი ცოდნა, არავითარი უნარი ხმის განაწილებისა და მოხმარებისა არ მოეპოვება. ამისთვის, ძალიან კარგს იზამდა რომ კონცერტებს თავი დაანებოს და სწავლას შეუდგეს.

ჩემის აზრით, ბ-ნს ტომაშევიჩს ისეთი ხმა აქვს, რომელსაც იშვიათად შეჰხვდებით: რბილი, მოქნილი, მძლავრი შუა ფარდებში, შესამჩნევი სულ დაბალ ფარდებშიაც-კი და მაღალში ხომ მოალერსე, მომხიბლავი. ეს არის მხოლოდ, რომ მომღერალის გადმოცემას გამომეტყველება აკლია, განსხვავებული ელფერი, თავისებურობა. ეს-კი მხოლოდ ხანგრძლივის მეცადინეობის და წვრთნის შედეგია. ბ-ნი ტამოშევიჩი-კი ყმაწვილი კაცია და ყველაფერს დასძლევს, თუ შრომა უყვარს და ხელოვნების მოტრფიალეა. ახალგაზდა მომღერალი საზოგადოებამ თანაგრძნობით მიიღო.

კონცერტს საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

ნარევი

რადის სხივები უკარგავს მავნებელს თვისებას გველის შხამს და არჩენს თურმე გველისაგან დაშხამულს. შხამი გველისა უნდა ამყოფოთ რადის სხივების გავლენის ქვეშ და მერე შეუფრქვიოთ ავადმყოფს. ამ ღონისძიების ხმარების წესი ჯერ კარგად არ არის შემუშავებული

— დიდებული ქმნილება მხატვრობისა „საიდუმლო სერობა“ ლეონარდო და-ვინჩისა, საშინლად თურმე ფუჭდება სინესტისაგან სანტა მარია დელლა გრაციეს მონასტერში. თუ არა მოუხერხეს-რა სურათს, ათი-ოცის წლის შემდეგ ამ მხატვრობისა ტრაპეზის კედელზედ არაფერი თურმე აღარ დარჩება.

„ივერიის“ ფოსტა

სამტრედია. პ. ძ—იას. სამწუხაროდ, თქვენს თხოვნას რედაქცია ვერ შეასრულებს.

თ—თს. ვ. წ—ლს. თქვენი წერილი მალე დაიბეჭდება.

ტ—ლი. ი. ფ—ძეს. თქვენი ლექსი „გაზაფხული“ არ დაიბეჭდება.

ა—ხეს. ა. ქ—ს. ვიყავით „კავკაზ ს“ რედაქციაში და იქ არავითარი წერილი არ არის მიღებული არც ჩვენთვის და არც „ცნ. ფურც.“-თვის.

გრიშა იმერელს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

ა—ს. აყ—ძეს. ერთი დაიბეჭდა, მეორე არა, მესამე ამ დღეებში დაიბეჭდება; მეოთხე არ დაიბეჭდება. გამოგვიგზავნე დამადებული.

დეპეშა

3 აპრილი.

პეტერბურგი. ვიტებსკსა, ვილნოსა, გროდნოსა, ბელტასა, ჩერნიგოვსა, სამარასა, ჩემბარსა, რეევსა, ადესასა, კალუგასა და მოსკოვში გარდახდილიიქმნა პანაშვიდები ვიცე-ადმირალის მაკაროვისა და «პეტროპავლოვსკ»-ზე დაღუპულთა სულის მოსახსენებლად.

ადესა. ადესის ქალაქ-ვეტის მეუღლეს შეწირულებანი მოსდის ვიცე ადმირალის მაკაროვისა და ჯავშნიან გემის «პეტროპავლოვსკ»-ზე დაღუპულ მეომართათვის ძეგლის ასაგებად. რადგან რუსეთის ფლოტი და რუსეთის ხალხი დიდ მწუხარებაშია 31 მარტს პორტ-არტურთან მომხდარ უბედურ შემთხვევისა გამო, ჩემულნის გმირებს დიდის ამბით აღარ მიეგებებიან. მეზღვაურები იმავე დღეს სევასტოპოლს გაემგზავრებიან.

ვენა. რუსეთის საელჩოს ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ვიცე-ადმირალის მაკაროვისა და «პეტროპავლოვსკ»-ზე დაღუპულთა სულის მოსახსენებლად.

პარიჟი. დარდანელიდან დეპეშით იტყობინებიან: გემმა «ყირიმმა» რომელზედაც 300 რუსი მეზღვაურია, გაიარა სრუტე და ადესას გაემგზავრა.

პეტერბურგი. პორტ-არტურიდან იუწყებიან: დაღუპულ ჯავშნიან გემ «პეტროპავლოვსკი»-დან პორტ არტურის საავადმყოფოში გადაყვანილი დაჭრილი უფროსი აფიცერი ლეიტენანტი დუკელსკი 2 აპრილს გარდაიცვალა.

ტოკიო. („ვოლფ. სააგ.“). კორეის იმპერატორის სასახლეში ცეცხლის გაქრობის დროს დიდი მონაწილეობა მიიღეს იაპონიის ჟანდარმებმა, რომელთაც აგრეთვე უშველეს იმპერატორს გადარჩენის დროს.

სტამბოლი. სულთანმა ხელმწიფე იმპერატორს სამძიმარი განუცხადა „პეტროპავლოვსკი“-ს დაღუპვის გამო. ხელმწიფე იმპერატორმაც გულითადი მადლობა შეუთვალა.

4 აპრილი

პეტერბურგი. 3 აპრილს შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

სევასტოპოლი. სადგურზე აუარებელი ხალხი შეიკრიბა პეტერბურგს მიმავალ ადმირალ სკრიდლოვის გასაცილებლად. სადგურის სამეფო სადგომში შეკრებილნი იყვნენ უფროსები და მრავალი აფიცრობა. მატარებელი ხალხმა «ურა»-ს ძახილით გააცილა. ადმირალს თან მიჰყავს ადიუტანტ-ლეიტენანტ ჩერკასოვი და მიჩმანი შიშკო, რომელმაც დღეს სთხოვა ადმირალს, «პეტრეპავლოვსკ»-ზე დაღუპულ ძმის მაგივრად წამიყვანეო.

სტამბოლი. («კორესპ. ბიურო»). 3 აპრილს მოვიდა გემი „ყირიმი“, რომელზედაც «ვარიაგ»-ისა და «კორეეც»-ის მეზღვაურნი არიან. გემი ინახულეს ზინოვიევმა და რუსეთის საელჩოს მოხელეებმა. სამხედრო აგენტმა რუდნევს გადასცა წმ. გიორგის ჯვარი. მეზღვაურთ სულთანის სახელით მიესალმა ვიცე-ადმირალი გუზნიფაშა და გადასცა პაპიროსები და ტკბილი საჭმელები. 4 აპრილს რუსეთის საელჩოს ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი მაკაროვის სულის მოსახსენებლად.

ტოკიო. («რეიტ. სააგ.»). კორეიდან მოსულ კერძო ცნობებით, რუსეთი იალუს მარჯვენა ნაპირზე აგროვებს 20,000 კაცს იმ აზრით, რომ ხელი შეუშალოს იაპონელების მანჯურიაში შემოსვლას. იაპონელებიც დიდს ჯარს აგროვებენ იალუს მარცხენა ნაპირზე, მაგრამ ჯერ არავინ იცის, როდის და სად ეცდებიან მდინარეზე გადასვლას.

პეტერბურგი. დაღუპულ ჯავშნიან გემ „პეტროპავლოვსკ“-იდან გადაარჩინეს და ნაპირზე გაიყვანეს დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე, რომელიც ფეხში მსუბუქად არის დაჭრილი და ცოტათი ყურებიც აქვს მომწვარი; დიდი მთავარი მაშინვე ჩრდილოეთისაკენ წაბრძანდა. 1 ხარისხის კაპიტანი იაკოვლევი მძიმედ არის დაჭრილი თავსა და გულში; ფერდები ჩამტვრეული აქვს და ძილი ერევა, მაგრამ გრძნობიერება კიდევ აქვს, ლეიტენანტები უნკოვსკი და იენიში, მიჩმანები შმიდტი, შლიპე და იაკოვლევი—ყველანი კარგად არიან. უბრალო მეზღვაურთა რიცხვი 38-ია, რომელთა შორის 3 ს ტანი მომწვარი აქვს და 4 მსუბუქად არის დაჭრილი.

3 აპრილი.

სტამბოლი. რადგან ბულგარიასთან ხელშეკრულება დაიდო, ოსმალეთს იმედი აქვს, რომ მომავალ გაზაფხულსა და ზაფხულში მეამბოხეთა რაზმები მოქმედებას აღარ დაიწყებენ. ამიტომ ოსმალეთს აზრადა აქვს, დაითხოვოს ადრიანოპოლსა და სალონიკში მდგომი რედიფთა დივიზიები.

სალონიკიდან და მონასტირიდან მოსულ ცნობებით, გაანთავისუფლეს 400 ბულგარელი, რომელთაც ამნისტია ჰქონდათ გამოცხადებული. დღეს სულთანმა აუდიენციაზე მიიღო გენერალი ჯიორჯისი, რომელიც ხვალ სალონიკს მიდის.

მარსელი. პარიკმახერის ქარგალმა ჯიოვანიმ კრებაზე განაცხადა, აზრადა მქვს მოვკლა ლუბე იტალიაში მოგზაურობის დროსაო. გუშინ დაატუსაღეს სამი კაცი, რომელთაც კავშირი აქვთ ამ ანარქისტულ შეთქმულობასთან.

ბერლინი. ოკატუმბასთან მომხდარ ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა 2 აფიცერი და 6 ჯარის-კაცი, მძიმედ დაიჭრა ერთი ლეიტენანტი და 7 ჯარის-კაცი, ხოლო მსუბუქად 5 ჯარის-კაცი.

ჰააგი. აქაურ სავაჭრო პალატაში თათბირი ჰქონდათ გერმანიასა და ნიდერლანდიას შორის პურის შესახებ დასადებ სავაჭრო ხელშეკრულობის თაობაზე. ერთხმად დაადგინეს, რომ ეს ხელშეკრულობა საფუძვლად დაედოს რუსეთთან პურით ვაჭრობის საქმესაო

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭომ გაარჩია შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება შესახებ საერო დაწესებულებათა შუამდგომლობის აღძვრისა დაარსებულ წესის შეცვლისა და დაადგინა: 1) სამაზრო საერობო კრებები უმეტეს შემთხვევაში ისეთს შუამდგომლობას აღძრავენ ხოლმე მთავრობის წინაშე, რომელიც შეეხება განსაკუთრებით ადგილობრივსა და სამაზრო საჭიროებას; 2) ზემო აღნიშნული შუამდგომლობანი სამაზრო საერობო მმართველობამ უნდა წარუდგინოს გუბერნატორს, რომელიც ამ შუამდგომლობას თავის დასკვნასთან ერთად შესაფერ სამინისტროში გაჰგზავნის. სახელმწიფო საბჭოს დადგენილება მის იმპერატორებით უდიდებულესობამ კეთილ-ინება, დაამტკიცა და მისი ასრულება ბრძანა.

სტამბოლი კოსოვის ვილაიეტში 22 მარტს მომხდარ მიწის ძვრის შესახებ მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ 30 სოფელში თითქმის ყველა სახლი დაინგრა, 37 კაცი მოკვდა და 28 დაშავდა. როგორც ეტყობა, ზარალი უფრო მეტი უნდა იყოს. დაშავებულთა საშველად საზოგადოება დაარსდა.

ბრიუსელი. ჟურნალი «მუვემანჯეოგრაფიკ»-ი, რომელიც ბრიუსელში იბეჭდება, იტყობინება, რომ ინგლისის სუდანელ ჯარის ერთი ბატალიონი, ინგლისის აფიცრების წინამძღოლობით, მდინარე ნილოსის საზღვარს გავიდა და ალბერტის ტბის მახლობლად დაიჭირა ის ადგილი, რომელიც სახელმწიფო კონგოს იჯარით ჰქონდა აღებული.

5 აპრილი

პეტერბურგი. უმთავრეს შტაბისაგან: „როგორც 4 აპრილს უმთავრესის შტაბისაგან მოსულ ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, მდინარე იალუზე მშვიდობიანობაა და თვალსაჩინო არა მომხდარა-რა. უმთავრესის შტაბის საოპერაციო განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ალექსეევი».

პორტ-არტური, 4 აპრილი (საკუთარის კორესპონ.). 1 აპრილს, საღამოს ორ საათზე მოვიდა პოლკოვნიკი ლიუბიმოვი, რომელმაც ნაღმოსან «რეშიტელნის» მოუტანა ხატი და კურთხევა მიტროპოლიტ ანტონის და საჩუქრები ფლოტსა. პორტ-არტურის მიდამოებში მშვიდობიანობაა. 30 მარტს კრეისერი «ბაიანი» გავიდა ჩვენი ნაღმოსნების საშველად მაშინ, როდესაც მტრის ნაღმოსნების გარდა, რომელიც უკვე გამოჩნდნენ, ამათ მიაუახლოვდნენ კიდევ ხუთი კრეისერი იაპონელთა. «ბაიანი» ჩვეულებრივზე ჩქარა მიდიოდა, გადაარჩინა ცოცხლად დარჩენილნი მეზღვაურნი «სტრაშნისა» (საშიშარი), ჩვენი ხუთი ნაღმოსანი დაიფარა და გადაარჩინა იაპონიის კრეისერების ხელიდგან მიზანში კარგის სროლითა. «პეტროპავლოსკზე» ადმირალი მაკაროვის გარდა დაიღუპა გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი აგაპეევი და მხატვარი ვერეშჩაკინი.—როგორც მნახველები მოწმობენ, ყოველის მხრიდგან მტკიცდება, რომ პორტ-არტურთან იაპონიის კრეისერი დაიღუპა, რომელიც თვით თავიანთ ნაღმს დაეტაკაო.

ტოკიო. («ვოლფის სააგენტო»). ადმირალმა ტოგომ მოახსენა: «შეერთებულმა ფლოტმა, თანახმად წინადვე შედგენილს გეგმისა, 29 მარტს მერვეჯელ მიიტანა იერიში პორტ არტურაზე. მეოთხე და მეხუთე ნაღმისშემმუსვრელი ფლოტილია და მეთოთხმეტე ფლოტილია ნაღმოსან გემისა 29 მარტს შუა-ღამისას მივიდნენ რეიდზედ. თუმცა განათლებული იყო ზღვა რუსის პროჟექტორებისაგან, მაინც იაპონიის გემებმა სხვა და სხვა ალაგას გაჰფანტეს ნაღმები. შემმუსვრელმა მეორე ფლოტილიამ 30 მარტს განთიადისას შეამჩნია ერთი ნაღმისშემმუსვრელი გემი რუსისა, რომელიც ნავსადგურში შესვლას ცდილობდა. ათი წუთის ბრძოლის შემდეგ რუსის შემმუსვრელი გემი ჩაიძირა. მეზღვაურთა გადასარჩენად დრო აღარ დაგვრჩა, რადგანაც კრეისერი «ბაიანი» უახლოვდებოდა. შემდეგ აღმოვაჩინეთ რუსის მეორე ნაღმშემმუსვრელი გემი, რომელიც ლიაოტეშანიდან მოდიოდა, ამასაც თავს დავესხით, მაგრამ ნავსადგურში მიიმალა. მესამე ესკადრამ დილის 8 საათზე მიაღწია პორტ არტურის გარე რეიდსა. «ბაიანმა» სროლა დაიწყო. ამას მოჰყვა «ნოვიკი», «ასკოლდი», «დიანა», «პეტრეპავლოვსკი», «პობედა» და «პოლტავა», რომელთაც ჩვენზე იერიში მოიტანეს. ჩვენმა მესამე ესკადრამ რუსთა სროლას განძრახ მძიმედ გასცა პასუხი და ნელ-ნელა დაიწია უკან იმ დრომდე, მანამ მტერი არ გამოიტყუა 15 მილის მანძილზე აღმოსავლეთისკენ; მაშინ მოვიდა ჩვენი მესამე ესკადრა, რომელსაც უმავთულო ტელეგრაფით ვაცნობეთ, და უეცრივ შეუტია. იმ დროს, როდესაც რუსები ცდილობდენ ნავთსადგურში შესვლას, ერთი «პეტროპავლოვსკი»-ს ჯურის გემი დაეტაკა ჩვენგან წინა ღამით ჩადგმულ ნაღმსა და ჩაიძირა. ათს საათსა და 32 წუთზე მეორე გემიც გამოვიდა წყობიდან, მაგრამ რაკი რუსის გემები აირდაირივნენ, ვერ გავარჩიეთ დაზიანებული გემი. ბოლოს რუსის გემები მივიდნენ ნავთსადგურში. ჩვენს მესამე ესკადრას არავითარიმე ზიანი არ მისვლია. ზემოდ დასახელებულს გარდა, არც რუსებს მოსვლიათ შესამჩნევი ზიანი. ჩვენი პირველი ესკადრა სროლის მანძილს გარეშე იდგა. შუადღის პირველ საათზე მთელი ჩვენი ფლოტი წამოვიდა, რომ ახალი თავდასხმისათვის მომზადებულიყო. 1 აპრილს მთელი ჩვენი ფლოტი კვლავ პორტ-არტურისაკენ გაემგზავრა. მეორე, მეოთხე და მეხუთე ფლეტილია ნაღმშემმუსვრელ გემებისა და მეცხრე ფლეტილია ნაღმოსანთა, დილას სამს ნაათზედ მივიდა ნავსადგურთან, ხოლო მესამე ესკადრა დილის ცხრა საათზე; ჩვენ რუსების ჩადგმული სამი ნაღმი აღმოვაჩინეთ და გავაფუჭეთ. კრეისერები «ნისსინი» და «კასსუგა» ლიაოტეშნიდან სამხრეთით გავგზავნეთ და დაუწყეს სროლა, რომელმაც ორ საათს გასტანა ეს გემები პირველად იყვნენ ბრძოლაში. ლიაოტეშნზე ახლად აგებული სიმაგრენი საღამოჟამის დროს ჩავაჩუმეთ. ჩვენი ფლოტი განშორდა პორტ-არტურს 1 საათსა და 30 წუთზე შუადღის უკან.

ბარცელონა. მინისტრ-პრეზიდენტი მაურა სრულებით მორჩა.

პეტერბურგი. ვიცე-ადმირალ მაკაროვისა და სხვა დაღუპულთა ჯავშნიან გემ «პეტროპავლოვსკიზე» სულის მოსახსენებლად გადაიხადეს პანაშვიდები უსტკამენოგორსკსა, ალატირსა, პერმსა, ორიოლსა, რიაზანსა, სმოლენსკსა, ურალსკსა და ბერდიანსკში.

ბლაგოვეშჩენსკი. 3 აპრილს დღისით 4 საათზე სხვა-და-სხვა წოდებათაგან შემდგარი ბრბო საერო დროშებით, საერო ჰიმნის სიმღერითა და სამხედრო მუსიკით გაემგზავრა ტაძრისაკენ. ხალხის ყვირილი—«გაუმარჯოს რუსეთსა, რუსეთის ჯარსა და ფლოტს», შეიცვლებოდა ხოლმე ჰიმნითა და «ურათი». ეკკლესიიდან ბრბო მივიდა გუბერნატორის სახლთან, რომელმაც სიტყვა უთხრა და გამოსთქვა, რომ ამნაირი მანიფესტაცია ამისთანა მძიმე დროს საბუთია იმისი, რომ მამულისადმი სიყვარულით განმსჭვალული კაცი ძლიერია ყველა-ნაირ ნაღმზე. სახლიდან ისევ ეკკლესიაში წავიდნენ, სადაც მაკაროვის და „პეტროპავლოვსკზე“ დაღუპულთა სულის მოსახსენებლად პანაშვიდი იქმნა გადახდილი.

პორტ-არტური, 4 აპრილს (საკუთარის კორესპ.). პორტ-არტურის მიდამოებში მშვიდობიანობაა. ხმები ისმის, გუშინდელ ბრძოლის დროს ერთი კრეისერი იაპონიისა დაზიანდაო.

ბერლინი. «saint tames gazette» ამბობს, ის ხმები, ვითომ რუსეთის და ინგლისის მთავრობათა შორის თიბეთის შესახებ მოლაპარაკებაა იყოო, არა მტკიცდება. ინგლისმა გადასწყვიტა რუსეთთან უსიამოვნობას მოერიდოს. ლონდონში მშვიდობიან გზას ადგიან.

პორტ-არტური. 4 აპრილს. (საკუთ. კორესპ.). დღეს ხელმწიფის მოადგილე ჯავშნიან გემ „სევასტოპოლზე“ გადავიდა და წყნარ ოკეანეს ფლოტის მთავარსარდლის დროშა აღმართა.

ბერლინი. ოფიციალურის დეპეშის თანხმად, ცხარე ბრძოლის დროს ოკატუმბასთან, რომელმაც ათს საათს გასტანა, გერერონი დაამარცხეს.

ალჟირი. სათადარიგო ჯარის-კაცნი მოგროვდნენ. სოლცარის მამულისშვილურის გრძნობით არიან გამსჭვალულნი.

პეტროკოვი. ბენდინს ახლო ჩამოეშვა ავსტრიის აეროსტატი ორის აფიცრითა.

სოფია. გენერალი ჯიორჯისი, რომელიც სულთანმა ინახულა, წავიდა თავის სამსახურის ალაგს.

ტოკიო. («რეიტერის სააგ.»). ყველანი მწუხარებას აცხადებენ ადმირალ მაკაროვის სიკვდილის გამო. კომანდირი ოგასავარა საზღვაო მთავარ შტაბის სახელით ამბობს,—მაკაროვის სიკვდილი მთელის მსოფლიო ფლოტისათვის შეადგენს დანაკლისსაო, და დასძენს: ადმირალი მაკაროვი უნდა ჩაითვალოს მთელის ქვეყნის ერთ საუკეთესო ადმირალადაო.

რომი ადმირალ მაკაროვის და პორტ-არტურს დაღუპულ მეზღვაურთათვის რუსის ეკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი.

ხალე. («რეიტერის სააგენტო»). ინგლისის მისსია კარგად მოეწყო გიანცეზში; მცხოვრებლები, ეტყობა კარგად უცქერიან მისსიას. ბევრმა თიბეთლებმა სიამოვნებით აღასრულეს მოთხოვნილება და იარაღი დაამტვრიეს; ამასთანავე სთქვეს: ჩვენ იძულებულნი ვიყავით ლამებთან ერთად გვებრძოლნაო. ინგლისის რაზმის უფროსმა გიანგცეზში მონასტერს ფულით ჯარიმა დაადო, რადგანაც ბევრი ბერთაგანი ინგლისელთა წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ხარკოვი. ადმირალი სკრიდლოვი 6 აპრილს მივა პეტერბურგს; გზა-გზა ბევრი დეპეშები მისდის და უფრო უსურვებენ მტერზე გამარჯვებასა.

სეული. („რეიტერის სააგენტო“). 3 აპრილს ღამე 33 ყაზახმა სიონ ჩიონი დაიჭირა. იაპონიის კონსული და სხვა ლტოლვილნა 4 აპრილს, დილით, გენზანში მივიდნენ. ხმა დადის, რომ ამ რაზმს მიჰყვება 5 ათასი რუსიო.

ლონდონი. („რეიტერის სააგენტო“). იუწყებიან, რომ ნიუჩ ჟუანიდან ჩიფუში მოსულ გემიდან დაუნახავთ იაპონიის ფლოტი პორტ-არტურიდან ჩრდილოეთით პეჩილიის ყურეში; სულ ყოფილა 26 სამხედრო და 10 სატრანსპორტო გემები. ესკადრა ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა. უფიქრობენ, მიდიან გაიჩეუს, რომელიც ნიუჩ-ჟუანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მდებარეობს.

სიმლა. („რეიტერის სააგენტო“). ავღანისტანის ემირმა სთხოვა ვიცე-კოროლ კერზონსა, გამოგზავნე ექიმი მძიმე ჰრილობის მოსარჩენადაო; ჰრილობა შემთხვევით მოსვლია.

დროებითი რედაქტორი ბრ. ყიფშიძე.
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკტომბრიდან 1903 წ.
(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 72 8 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (მოსკოვს მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2 ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებისნითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
ვასი დღე-ღამეში ჰამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

Дозволено цензурою Тифлисъ 5 апрѣля 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, домъ арм. семинаріи.